ჯიპიაი

ვენის საფაზრვეო ჯგუფი

მმართველობითი ანგარიშგება

2022

ჯიპიაი ჰოლდინგის შესახებ

#1
სადაზღვევო კომპანია მოზიდული პრემიის მიხედვით

20
წელი საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე

2006
წლიდან ვენის სადაზღვევო ჯგუფის წევრი

მისია

ხელი შევუწყოთ პროგრესულ ინდივიდებს, იცხოვრონ დაბრკოლებების გარეშე.

სლოგანი

იმოქმედე, ჩვენ დაგაზღვევთ!

ღირებულებები

თანადგომა

პროფესიონალიზმი

სამართლიანობა

პროგრესი

სერვის ატრიბუტები

- **სიზუსტე**
- **სიმარტივე**
- **სისწრაფე**
- **კომფორტი**

საქმიანობის მიმოხილვა

პაატა ლომაძე

“ჯიპიაი ჰოლდინგის” გენერალური დირექტორი

2022 წელი მნიშვნელოვანი იყო როგორც ზოგადად, სადაზღვევო ინდუსტრიისთვის, ასევე ჩვენი კომპანიისთვის. პანდემიის შემდეგ ქვეყნის ეკონომიკა და სადაზღვევო ბაზარიც გამოცოცხლდა. რა თქმა უნდა, ეს ჩვენს მაჩვენებელზეც პოზიტიურად აისახა. 2022 წელსაც ლიდერები ვართ დაზღვევის ბაზარზე და ეს ჩვენთვის, რა თქმა უნდა, საამაყო და სასიხარულოა. 2022 წლის ზრდის დინამიკა შედეგებზე უფრო მეტად 2023 წელს გამოჩნდება თუმცა, ეს ტენდენცია უკვე სახეზეა.

სიახლეები დავნერგეთ თითქმის ყველა მიმართულებით - ელექტრონული არხების გაუმჯობესებასთან ერთად, ბაზარზე უნიკალური კონცეფციებიც შევქმენით.

ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულებიდან, სადაც ტრადიციულად კვლავ ბაზრის ყველაზე დიდი წილი 26,8% გვიჭირავს, გამოვყოფდი დისტანციური დადასტურების სქემების დანერგვას, რომელმაც მნიშვნელოვნად გაამარტივა დაზღვევით სარგებლობა ჩვენი მომხმარებლებისთვის. ასევე ახალი სერვისების „საერთაშორისო კონსილიუმის“ და მისი გაუმჯობესებული ვერსიის „ნავიგატორის“ შემოტანას ბაზარზე. ეს უნიკალური შესაძლებლობაა ჩვენი დაზღვეულებისთვის - შეძლონ საზღვარგარეთ მეორე სამედიცინო აზრის მოძიება და თანამედროვე მკურნალობის მეთოდებზე მიიღონ წვდომა.

ასევე მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ავტოდაზღვევის ახალი ბრენდების - ავტო აქტივი და ავტო ფიქსი გაცნობა საზოგადოებისთვის და ზოგადად ავტოდაზღვევის მომსახურების მხრივ ახალი სერვისების დანერგვა, რომელმაც, ვფიქრობ, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ჩვენი დაზღვეულებისთვის პირობები.

წინსვლა გვქონდა ზოგადად არასიცოცხლის დაზღვევის მიმართულებითაც - განსაკუთრებით გამოვყოფდი საზღვაო, სახმელეთო და სატრანსპორტო დაზღვევის მიმართულებას. ჩვენთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პროდუქტია და გვინდა ამ სექტორში კიდევ უფრო გავიზარდოთ. წელს შევეცადეთ ამ ბაზარზეც შეგვეტანა ჩვენი, როგორც წამყვანი ევროპული ჯგუფის, უპირატესობები და გაგვეძლიერებინა ძალისხმევა, რომ ამ ინდუსტრიასაც მაღალი დონის სადაზღვევო მომსახურება შევთავაზოთ.

ასევე გამოვყოფდი, სამოგზაურო დაზღვევის პროდუქტს. 2022 წელი ძალიან წარმატებული აღმოჩნდა ჩვენი კომპანიისთვის. გაყიდვების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა - წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ზრდა 96% იყო. ეს ერთი მხრივ პანდემიის დასრულების დამსახურებაა, რადგან ხალხმა აქტიურად დაიწყო მოგზაურობა და ასევე იმ მრავალფეროვანი პროდუქტების და გაყიდვების არხების, რასაც მომხმარებელს ვთავაზობთ. ამ მიმართულებითაც ბევრი სიახლე გვაქვს დაგეგმილი და გვინდა კიდევ უფრო მაღალი სტანდარტის მომსახურება შევთავაზოთ მომხმარებელს.

ჩვენთვის, ცხადია, პრიორიტეტი რჩება დაზღვეულებზე ზრუნვა და მათზე ორიენტირებული პროდუქტების შექმნა, ხელმისაწვდომ სერვისებთან ერთად - იქნება ეს საცალო, თუ კორპორაციული მიმართულებით.

ზრდის მიუხედავად, რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევა გვქონდა. მათ შორის გამოვყოფდი მაღალ ინფლაციას როგორც სამედიცინო, ისე ავტოდაზღვევის სფეროში და ცვლილებას მომხმარებლის ქცევაში. პანდემიის შემდეგ გაიზარდა სამედიცინო მომსახურების გამოყენების სიხშირე. ინფლაციის გამო მცირედით მოიმატა პროდუქტების ფასმა, თუმცა მომხმარებელს გაუმჯობესებული პროდუქტები შევთავაზეთ, რაც მათ დადებითად მიიღეს და ეს აისახა კიდეც ჩვენი გაყიდვების სტატისტიკაზე. ჯამში, წლის როგორც მოზიდული პრემიის, ასევე მომგებიანობის გეგმა შევასრულეთ.“

“ჯიპიაისთვის” კვლავ პრიორიტეტია მომხმარებლების კმაყოფილების მაღალი დონის შენარჩუნება, რაც შიდა კვლევებით 98%-96%-ს უტოლდება. სხვა ფაქტორებთან ერთად, ამ შედეგს კომპანიამ მომსახურების მუდმივი გაუმჯობესებითა და დაზღვევით სარგებლობის გამარტივებით მიაღწია. ვიყენებთ მრავალფეროვან არხებს, იმისთვის რომ ხელმისაწვდომობა და მოხმარების გზები უფრო მარტივი და სწრაფი იყოს სხვადასხვა სეგმენტისთვის.

ფინანსური შედეგები

შედეგები (ათას ლარებში)	2021	2022	2023 6 თვე	2023 პროგნოზი
მოზიდული პრემია	135,966	162,337	106,464	173,493
პერიოდის წმინდა მოგება	65	6,105	2,727	6,382
გადახდისუნარიანობის მარჟა	116%	160%	129%	150%
მინიმალური კაპიტალის მარჟა	309%	337%	273%	346%

2022 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა მოზიდული პრემიის ოდენობა, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია პერიოდის წმინდა მოგების ფორმირებაზე და ტენდენცია გრძელდება 2023 წლის შედეგებზეც. 2022 წლის ბოლოს კომპანია აღწევს მაღალ მარჟებს, როგორც გადახდისუნარიანობის, ისე მინიმალური კაპიტალის ნაწილში, რაც თავის მხრივ მეტყველებს კომპანიის სტაბილურობაზე და ფინანსურ სიმყარეზე. აქვე აღსანიშნავია, რომ 2023 წლის პირველ ნახევარში გაცემული დივიდენდების მიუხედავად, კომპანია ინარჩუნებს მაღალ მარჟებს 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ჩვენი პროგნოზით იგივე ტენდენცია გაგრძელდება წლის ბოლომდე.

„ბიზნეს რისკების გარდა კომპანიის წინაშე არსებული ერთ-ერთი გამოწვევა ფინანსურ რისკს უკავშირდება, რომელიც მოიცავს საპროცენტო განაკვეთს, სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებს. დეტალურად ეს რისკები ფინანსურ ანგარიშგებაშია მოცემული“.

„ჯიპიაი ჰოლდინგი“ 2017 წლიდან გაეროს გლობალური შეთანხმების ქსელის წევრია. შესაბამისად, ჩვენი საქმიანობით ვცდილობთ ხელი შევუწყოთ მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებას. 17 მიზნიდან, ჩვენი საქმიანობის სფეროდან გამომდინარე, ჩვენთვის ყველაზე რელევანტური და მნიშვნელოვანია 4 მიზანი, რომელთა შესრულებაშიც ყოველწლიურად, სხვადასხვა პროექტებით შეგვაქვს წვლილი. ეს მიზნებია:



ამ ანგარიშშიც, სწორედ მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად 2022 წელს, ჩვენი კომპანიის მიერ განხორციელებულ პროექტებს შეხვდებით.

8 DECENT WORK AND ECONOMIC GROWTH

სტატისტიკა გენდერულ ჭრილში

ჯიპიაიში 2022 წლის ბოლოსთვის სრულ განაკვეთზე დასაქმებულია

658

აქედან ქალი

489

ხოლო მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულია

40%

60%

თანამშრომელთა ჩართულობის კვლევა

2022 წელს კვლავ ჩატარდა თანამშრომელთა ჩართულობის კვლევა, რომელიც 2021 წელს განხორციელდა პირველად ბოლო 7 წლის განმავლობაში და მოგვცა შესაძლებლობა, რომ 2021 წელს განსაზღვრული ამოცანების შესრულება შეგვეფასებინა და ასევე გადაგვემოწმებინა თანამშრომლების განწყობები ზოგადად სამუშაო გარემოსთან, კომპანიასთან და მის მენეჯმენტთან დაკავშირებით, eNPS მაჩვენებლის განვითარება და შედარება საქართველოს სხვა კომპანიების მაჩვენებლებთან, ე.წ. ბენჩმარკთან.

ჩართულობის კვლევა როგორც 2021 წელს ჩატარდა საეთაშორისო კონსულტანტის კილიან ვავუს, რომელიც VU University Amsterdam-ში მოღვაწეობს და მისი საქართველოს პარტნიორის ნინო ოხანაშვილის თანამშრომლობით. კვლევითი ინსტრუმენტი 2003 წლიდან არის აქტიური და ტარდება ყოველწლიურად ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, ხოლო საქართველოში 2016 წლიდან.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო თანამშრომელთა 76%-ზე მეტმა,რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. 2021 წლის მსგავსად საერთო ჯამში უმეტეს კონცეპტში გამოვლინდა კარგი და საქართველოს ბენჩმარკზე მაღალი მაჩვენებელი, მათ შორის eNPS მაჩვენებელში. ასევე დადგინდა, რომ გასულ წელს ჩატარებული კვლევის საფუძველზე დასახულმა და განხორციელებულმა აქტივობებმა სასურველი შედეგი გამოიღო. 2023 წელს დაგეგმილია განახლებული კვლევის ჩატარება.

Self.ge



2022 წლის ივნისის თვეში დაინერგა პერსონალის აღრიცხვისა და მართვის ელექტრონული სისტემა - Self.ge. აღნიშნული ციფრული პლატფორმის დანერგვამ ჩვენს კომპანიას საშუალება მისცა სრულად გაგვეციფრულებინა HR პროცესები და ერთ სისტემაში გაგვეერთიანებინა თანამშრომლებთან დაკავშირებული ყველანაირი ინფორმაცია თუ დოკუმენტი. აღნიშნული პლატფორმის საშუალებით, ელექტრონულად იმართება ისეთი HR ადმინისტრაციული პროცესები როგორიცაა: შვებულებები, მივლინებები, ბიულეტინები, პერსონალური დოკუმენტები, ნამუშევარი საათების აღრიცხვა და თანამშრომლებისთვის ელექტრონული გაცნობა.

აღნიშნული პლატფორმის დანერგვამ დადებითი ცვლილებები შეიტანა როგორც HR დეპარტამენტის, ასევე თითოეული თანამშრომლისა და მენეჯერის სამუშაო პროცესში. კერძოდ კი, სხვადასხვა ადმინისტრაციული აპლიკაციების ელექტრონულად და დამოუკიდებლად მართვის შესაძლებლობამ თანამშრომლებს გაუმარტივა ადმინისტრაციულ/საკადრო საკითხებთან დაკავშირებული სამუშაო პროცესი, ხოლო მენეჯერებს საშუალება მისცა მუდმივად იყვნენ ჩართულნი, ელექტრონულად მართონ თავიანთი დაქვემდებარებული თანამშრომლების პროფილი და ჰქონდეთ წვდომა მათთვის საჭირო სრულ ინფორმაციაზე.

Self-ის სისტემამ თითოეულ თანამშრომელს ასევე შესაძლებლობა მისცა მუდმივად ადევნონ თვალი კომპანიაში მიმდინარე სიახლეებს. დაზოგა დროითი რესურსი და სრულად გააციფრულა და გაამარტივა ადმინისტრაციული პროცესების მართვა.

თანამშრომელთა სწავლება და განვითარება



2022 წელი მნიშვნელოვანი იყო თანამშრომელთა სწავლებისა და განვითარების მიმართულებით განხორციელებული ინიციატივების თვალსაზრისითაც. ჯიპიაი ყოველწლიურად, მიმდინარე წლის სტრატეგიული პრიორიტეტებისა და მიზნების გათვალისწინებით, იკვლევს თანამშრომელთა საჭიროებებს. სამუშაოს განხორციელებისთვის საჭირო კომპეტენციების გათვალისწინებით იგეგმება სწავლებისა და განვითარების შესაბამისი ღონისძიებები.

2022 წლის განმავლობაში სწავლება და განვითარება სამი ძირითადი მიმართულებით ხორციელდებოდა 1) მენეჯერული რესურსის განვითარება 2) ექსპერტების რესურსის განვითარება (ექსპერტულ რგოლში ძირითადად მოიაზრება დაზღვევისთვის სპეციფიკური პროფესიული ცოდნისა და კომპეტენციის მატარებელი პოზიციები) 3) ძირითადი ბიზნეს ერთეულების: ციფრული, გაყიდვის და მომსახურების რგოლის გაძლიერება;

სწავლება და განვითარების მიმართულება მოიცავდა როგორც შიდა, ასევე გარე ტრენინგებს, სამუშაო შეხვედრებს და მასტერკლასებს. შიდა სასწავლო აქტივობებს ჯიპიაის თანამშრომლები ატარებდნენ, ხოლო გარე ღონისძიებებს მოწვეული ექსპერტები უძღვებოდნენ.

2022 წელი მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ სრულად ამოქმედდა ონლაინ სასწავლო პლატფორმა „მასტერპლანი“. სასწავლო პლატფორმას ვენის სადაზღვევო ჯგუფი უწევს მხარდაჭერას და მისი დახმარებით შვილობილი კომპანიებისთვის ხელმისაწვდომია რელევანტური, ღირებული, ხარისხიანი და მუდმივად განახლებადი ინტერაქტიული სასწავლო რესურსი, რომლის თემატიკა ფარავს როგორც მენეჯერული, ასევე ექსპერტების რგოლისთვის აქტუალურ საკითხებს. პლატფორმა მოქნილია, აწყობილია მაღალი ხარისხის ვიდეო რესურსების გამოყენების პრინციპზე და გამდიდრებულია თამაშის ელემენტებით, რაც სასწავლო პროცესს განსაკუთრებულ აზარტს და ხალისს მატებს.

2022 წლიდან ჯიპიაის ასევე აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს უნივერსიტეტთან და უძღვება სტაჟირების პროგრამას.

2022 წელს სავალდებულო ტრენინგების სახით ყველა თანამშრომელმა გაიარა გადამზადება, როგორც ინფორმაციული უსაფრთხოების, ასევე AML მიმართულებით.

2022 წლიდან მომსახურების რგოლისთვის შემუშავდა და განგრძობით რეჟიმში მიმდინარეობს კომპლექსური სასწავლო პროგრამა „ემპათია მომსხურებაში“, რომელიც მოიცავს როგორც სატრენინგო, ასევე სამუშაოზე დაკვირვების ელემენტებს და შერეული (ონლაინ და პირისპირ) ფორმატით ტარდება.

ჯიპიაი საკუთარ თანამშრომლებისთვის უზრუნველყოფს საოფისე პროგრამების მაღალი ხარისხით სწავლებას. შესაბამისი რგოლის თანამშრომლებისთვის ხელმისაწვდომია როგორც Advanced Excel-ის, Power BI-ს და მათ სამუშაოს სპეციფიკისთვის აუცილებელი სხვა პროგრამების შემსწავლელი კურსები.

ციფრული გუნდების განვითარებისთვის ჯიპიაი რეგულარულად უზრუნველყოფს სფეროს წამყვანი სპეციალისტების მოწვევას და მათი გამოცდილების გაზიარებას. Agile პრინციპებით გუნდების მართვა პრიორიტეტული თემა იყო როგორც 2021 ასევე 2022 წლის განმავლობაში და ამ მიმართულებით არაერთი ტრენინგი, სამუშაო შეხვედრა და ქოუჩინგის სესია გაიმართა.

სწავლების მიმართულებით რეგულარულად ხორციელდება შიდა სამუშაო შეხვედრები და ტრენინგები, სადაც კომპანიის თანამშრომლები ნებაყოფლობით უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას გუნდის სხვა წევრებს, რაც მამოტივირებელია არა მხოლოდ ტრენინგის მონაწილეებისთვის, არამედ თავად იმ თანამშრომლებისთვისაც, ვინ უანგაროდ გადასცემს საკუთარ ცოდნას სხვებს და ამით გაზიარების და ურთიერთმხარდაჭერის ძალიან საინტერესო პრაქტიკას ქმნიან.

ჯიპიაი ასევე წლიდან წლამდე უზრუნველყოფს საკუთარი თანამშრომლებისთვის სასერტიფიკატო პროგრამების, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სწავლის ხარჯების თანადაფინანსებას.

კომპანიაში მიღებული და აპრობირებული პრაქტიკით, ყოველწლიურად, წლის საუკეთესო თანამშრომლებად დასახელებული კოლეგებისთვის სხვა მატერიალური ჯილდოებთან ერთად, ჯიპიაის უზრუნველყოფს სწავლების ხარჯის დაფინანსებას, რომლის თემატიკას თავად თანამშრომელი არჩევს.

2022 წლის განმავლობაში კომპანიის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს არაერთ საერთაშორისო კონფერენციასა და სასწავლო პროგრამაში. გამორჩეული გამოცდილება კი მაინც ვენის სადაზღვევო ჯგუფის მიერ ტოპ მენეჯერული რგოლისთვის კომპლექსური ტრენინგ პროგრამა იყო, სადაც ლიდერობის, სტრატეგიული მართვის და ციფრული განვითარების მიმართულებით თანამედროვე გამოწვევებსა და ტენდენციებზე ჯგუფში შემავალი კომპანიების ტოპ მენეჯერები ერთმანეთს ცოდნას და გამოცდილებას უზიარებდნენ.

ახალი კარიერული განვითარების სქემის დანერგვა

გაყიდვების დეპარტამენტში დანერგილი კარიერული განვითარების სისტემა, რომელიც 2022 წელს შემუშავდა და განახლდა, არის გაყიდვების დეპარტამენტების (საცალო და კორპორაციული) თანამშრომლებისთვის გრძელვადიანი მიზნებისა და მათი შესრულების საფუძველზე წახალისების, აღიარებისა და დაჯილდოვების გამჭვირვალე სქემა.

სქემის განაცხადია, რომ შეამციროს თანამშრომელთა შრომით უკმაყოფილება და კმაყოფილების ზრდის უზრუნველყოფის მიზნით მოახდინოს თითოეული რგოლის ჩართულობის გაუმჯობესება. გრძელვადიანად შეინარჩუნოს თანამშრომლები.

კარიერული განვითარების სქემა მოიცავს შესაძლებლობებს პროფესიული დახელოვნების, პოზიციური დაწინაურებისა და კომპანიის მიერ განსაზღვრული არაპირდაპირ მატერიალური ბენეფიტებით სარგებლობისთვის.

საცალო თუ კორპორაციული მიმართულებით მომუშავე თითოეულ თანამშრომელს ექმნება შესაძლებლობა, წინასწარ განსაზღვრული და ცხადი პარამეტრების დაკმაყოფილებით მიაღწიოს მისთვის სასურველ პოზიციურ განვითარებას და გაიუმჯობესოს სამუშაო პირობები.

თანამშრომლებისთვის განსაზღვრულია 4 საფეხურიანი დაწინაურების სქემა: სპეციალისტი, მენეჯერი, ექსპერტი და პარტნიორი.

უმაღლეს საფეხურს გაყიდვების პარტნიორი წარმოადგენს, რომელ პოზიციაზეც თანამშრომელს ენიჭება მაღალი დონის დელეგირება სამუშაო დავალებები დამოუკიდებლად შესასრულებლად:

• ექვემდებარება გაყიდვების დირექტორის მოადგილეს, ან განყოფილების უფროსს

• აქვს წლიური ბიუჯეტი მის პორტფელში შემავალი კლიენტების ზარალების არასტანდარტული ანაზღაურებისთვის

• სარგებლობს ექსკლუზიური ბენეფიტებით, როგორიცაა: პირადი და ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზღვევის დაფინანსება მაღალი ლიმიტით, Fittpass-ის წლიური ვაუჩერი, სასწავლო კურსების თანადაფინანსება, არასამუშაო დროს განტვირთვისთვის ვიქენდის თანადაფინანსება საქართველოს კურორტებზე, მაღალ ლიმიტიანი ინტერნეტის და სასაუბრო დროის პაკეტი, ტექნიკური ასისტენტის დახმარება, მაგისტრთა კლუბის მუდმივი წევრობა. ყველა ახალ თანამშრომელს დისტანციურად მუშაობის გარდა შევთავაზეთ ჯანმრთელობის დაზღვევა და ყველა ის ბენეფიტი, რაც ჯიპიაის მოქმედ თანამშრომლებს ჰქონდათ.

გაზრდილი კონკურენციის, სტრესის, გაყიდვების გეგმის და მოთხოვნის შესაბამისად, მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, განახლდა თანამშრომელთა სამოტივაციო და კარიერული სქემები.

დაიგეგმა სხვადასხვა დეპარტამენტებისთვის ტრენინგები, გასვლითი ღონისძიებები, მარათონები.

ავტოდაზღვევის მარათონი

ჯიპიაის თანამშრომლების სტუმრობა "ვენის სადაზღვევო ჯგუფის" ოფისში

„ჯიპიაი ჰოლდინგში" მივიჩნევთ, რომ კომპანიის წარმატება პროფესიონალ და ლოიალურ თანამშრომლებზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ ვცდილობთ მათთვის განსაკუთრებული პირობები შევქმნათ და მოტივაციის გასაზრდელად წამახალისებელი აქტივობები შევთავაზოთ.

ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული აქტივობა იყო - 2022 წლის ავტოდაზღვევის მარათონი, სადაც ჯიპიაის საცალო გაყიდვების თანამშრომლებს საშუალება მივეცით საკუთარი თავი წარმოეჩინათ. გაყიდვების მენეჯერებს, რომელთაც 3 თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ავტოდაზღვევის პოლისი გაყიდეს და საუკეთესო შედეგები აჩვენეს, კომპანიამ პრიზად ვენის საგზურები გადასცა. მარათონში 16-მა თანამშრომელმა გაიმარჯვა, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მათგან ყველა ქალი იყო.

ვენაში მოგზაურობისას, გამარჯვებულებს „ვენის სადაზღვევო ჯგუფის" მთავარ ოფისში, ისტორიულ შენობაში - რინგტურმში სტუმრობაც დავუგეგმეთ, რაც ყველა მათგანისთვის ყველაზე სასურველი პრიზი იყო. ოფისში ჯიპიაის თანამშრომლებს „ვენის სადაზღვევო ჯგუფის" თანამშრომლები დახვდნენ, დაათვალიერებინეს უძველესი შენობა, გაუმასპინძლდნენ და სიმბოლური საჩუქრებითაც დააჯილდოვეს.

გაყიდვების მაგისტრთა კლუბი

2022 წელი მნიშვნელოვანი იყო „გაყიდვების მაგისტრთა კლუბისთვისაც“. ორწლიანი პაუზის შემდეგ კლუბი განახლდა, ახალი წევრებით დაკომპლექტდა და ახალი ფუნქციები შეიძინა.

მაგისტრთა კლუბი სპეციალურად გაყიდვების თანამშრომელთა წახალისებისა და მოტივაციის ზრდისთვის შეიქმნა. ამ კლუბის წევრობა ჯიპიაის გაყიდვების თანამშრომლებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სტატუსია. წლიდან წლამდე, ყველა მათგანი ცდილობს კლუბში მოსახვედრად საუკეთესო შედეგები აჩვენოს და გაყიდვების მაჩვენებლები გაზარდოს. მაგისტრთა კლუბის საპატიო წევრები ტრადიციულად საცალო და კორპორაციული გაყიდვების გამორჩეული და ყველაზე შედეგიანი თანამშრომლები ხდებიან.

2022 წელს, მაგისტრებისთვის კომპანიამ არაერთი საინტერესო და სახალისო აქტივობა დაგეგმა. კლუბის წევრები საზაფხულო გასვლის ფარგლებში იმყოფებოდნენ ორდღიანი ტურით კახეთში, სადაც ჩაუტარდათ ტრენინგი სტრესის მოხსნასა და “სამსახურში გადაწვის“ პრევენციაზე.

მსგავსი გასვლითი შეხვედრა სპეციალურად მაგისტრებისთვის შემოდგომაზეც მოეწყო.

ზამთარში კი, კლუბის წევრები მენეჯმენტმა სპეციალურ ვახშამზე დაპატიჟა, სადაც გამორჩეული შედეგებისთვის ყველანი სიმბოლური საჩუქრებით, მაგისტრთა კლუბის სამკერდე ნიშნებით დააჯილდოვა.

VIG KIDS CAMP

2022 გამორჩეული იყო ჯიპიაი ჰოლდინგის თანამშრომლების შვილებისთვისაც. „ვენის სადაზღვევო ჯგუფმა“ - ჯგუფის წევრი კომპანიებისთანამშრომლებისშვილებსსაშუალებამისცამონაწილეობა მიეღოთ კონკურსში და ერთი კვირა ვენაში- საერთაშორისო ბანაკში გაეტარებინათ.

„მშვიდობა და თავისუფლება“ იყო The EYFON VIG - European Youth Forum Neumarkt-ის მთავარი თემა. კონკურსის მონაწილეებმა წარადგინეს ვიდეო, ფოტოკოლაჟი და თემა (ინგლისურად) სათაურით **„რას ნიშნავს მშვიდობა ჩემთვის?”**

მონაწილეობა მიიღეს ჯიპიაის თანამშრომელთა 14-17 წლამდე შვილებმა. კონკურსში 4-მა ბავშვმა გაიმარჯვა და ავსტრიაში, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად დაუვიწყარი კვირა გაატარა.

გარდა ბანაკისა, „ვენის სადაზღვევო ჯგუფმა“ მეორე კონკურსიც გამოაცხადა, სადაც ჯიპიაის თანამშრომელთა 9-13 წლის შვილები მონაწილეობდნენ. ეს იყო ფოტოკონკურსი - **„ჩემი ფოტოსურათი მშვიდობაზე“,** სადაც საუკეთესო ფოტო ნამუშევრები ჟიურიმ გამოარჩია და ბავშვებს საჩუქრად iPhone-ები გადასცა. კონკურსში ჩვენი კომპანიიდან 6-მა ბავშვმა გაიმარჯვა.

3 GOOD HEALTH AND WELL-BEING

ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულება



დისტანციური დადასტურების სქემა

2022 წელი გამოწვევებით იყო სავსე ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულებით. პანდემიის შემდეგ, რეკორდულად გაიზარდა კლინიკებში დაზღვეულების მიმართვიანობა და დაზღვევის გამოყენება.

ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო სწორად გვემართა სიტუაცია, შეგვემცირებინა ფინანსური რისკები და დაგვეხვეწა მომსახურების ხარისხი. პროცესი უნდა გამარტივებულიყო, ერთი მხრივ დაზღვეულებისთვის, მეორე მხრივ კლინიკებისთვის და ასევე ჩვენი ანაზღაურების თანამშრომლებისთვის. აქედან გამომდინარე, 2022 წელს ქვეყნის 100-ზე მეტ წამყვან პროვაიდერ კლინიკაში დავნერგეთ დისტანციური დადასტურების სქემა, რაც გულისხმობს:

“ჯიპიაის“ დაზღვეულებს ახლა უკვე 100-ზე მეტ კლინიკაში სერვისების მიღება მარტივად - პირადობით ან სადაზღვევო ბარათით შეუძლიათ. ამ კლინიკებში ექიმ -სპეციალისტთან ვიზიტისთვის პირადი ექიმის მიმართვა საჭირო აღარ არის. ყველა საკითხის მოგვარება ადგილზე, რეგისტრატურაშია შესაძლებელი - მომხმარებელი იხდის მხოლოდ თავის წილს და აღარ უწევს ასანაზღაურებლად საბუთების კომპანიაში გადმოგზავნა.

ყველა კვლევას, რომელსაც ექიმი დაუნიშნავთ, იქვე რეგისტრატურის დახმარებით იფორმებენ და ამ შემთხვევაშიც მხოლოდ თავის წილს იხდიან.

ასევე, ექიმთან ვიზიტისას მიმართვის გენერირება დაზღვეულებს თავად, ჯიპიაის მობილური აპლიკაციით MyGPI შეუძლიათ. მოთხოვნის გაგზავნიდან პასუხს 10 წუთში იღებენ და ამ შემთხვევაშიც კლინიკაში თანხის მხოლოდ თავიანთ წილს იხდიან.

აპლიკაციით დაზღვეულს შეუძლია სპეციალისტის მიერ დანიშნული წამლების მიმართვაც გააკეთოს. აფთიაქში წარადგენს პირადობას ან ელექტრონულ ბარათს და წამლებს თანადაფინანსებით შეიძენს. ამ შემთხვევაშიც, თანხის ასანაზღაურებლად აღარ უწევს საბუთების ჯიპიაიში გადმოგზავნა.

მოქმედების დღე

2022 წელი აქტიური იყო სოციალური პროექტების განხორციელების კუთხითაც. ამ წელს ჯიპიაის თანამშრომლებმა, მოქმედების დღის ფარგლებში, კომპანიის ხელშეწყობით 6 პროექტი განახორციელეს. ჯიპიაიმ ყველა თანამშრომელს აჩუქა ერთი სამუშაო დღე და გამოუყო დაფინანსება სოციალური აქტივობებისთვის.

მოქმედების დღის პროექტების შესარჩევად „იდეების აუქციონი“ მოვაწყვეთ, სადაც ჩვენს თანამშრომლებს საშუალება მივეცით თავიანთი სოციალური აქტივობების პრეზენტაცია წარედგინათ. ხმის მიცემის გზით გამოვავლინეთ საუკეთესოები და იდეის განსახორციელებლად საჭირო რესურსებიც გამოვუყავით.

თანამშრომლები სურვილის მიხედვით განაწილდნენ მათთვის საინტერესო აქტივობებში და იდეის ავტორებს პროექტის განხორციელებაში დაეხმარნენ.

ოროზმანი

ჩვენი კომპანია მესამე წელია აგრძელებს, ეროვნული მუზეუმის მხარდაჭერას სოფ. ოროზმანში ჰომინიდების (Homo Erectus) გავრცელების ახალი კერის კვლევის პროცესში.

2022 წელს დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ოროზმანში საერთაშორისო არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1,8 მილიონი წლით დათარიღებულ ფენებში ადრეული ჰომოს ქვედა ყბის კბილი, მე-4 პრემოლარი აღმოაჩინა. ოროზმანის აღმოჩენა მსოფლიო მნიშვნელობისაა და აფრიკის ფარგლებს გარეთ, დმანისთან ერთად, მსოფლიოში უძველესი ადამიანის გავრცელების კერას წარმოადგენს.

ჯიპიაი ამ აღმოჩენის მხარდამჭერი იყო. ექსპედიციას დავეხმარეთ როგორც ფინანსური რესურსით 10 000 ლარი, ასევე ჩვენმა თანამშრომლებმა, მოხალისეებად იმუშავეს და გათხრებში მიიღეს მონაწილეობა. 2022 წელს ექსპედიციაში ჯიპიაის 30-მდე თანამშრომელი ჩაერთო.

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება

ჯიპიაის თანამშრომლები ორ მრავალშვილიან ოჯახს დაეხმარნენ. ერთში 11 ბავშვი ცხოვრობს მეორეში - 5.

აქტივობის მიზანი იყო, ბავშვებისთვის ერთი ბედნიერი დღე მოეწყოთ საჩუქრებით და მათთვის საჭირო ნივთებით დახმარებოდნენ.

კომპანიამ ამისთვის 2500 ლარი გამოყო. ჯიპიაის თანამშრომლებმა კი სურვილის მიხედვით, თანხაც ჩარიცხეს და საჭირო ნივთებიც შეუგროვეს.

აქტივობის ფარგლებში, ჩვენმა თანამშრომლებმა დღესასწაული ბავშვთა გასართობ ცენტრში მოაწყვეს.

პროექტში ჩაერთო კლინიკა „კურაციოც“, სადაც დილით ბავშვებმა ყველა გეგმიური შემოწმება გაიარეს. კლინიკიდან კი გასართობ ცენტრში წავიდნენ. იქ კი ანიმატორები და უამრავი საჩუქარი დახვდათ. ჯიპიაის თანამშრომლებმა მათ საკვები და საყოფაცხოვრებო ნივთებიც შეუძინეს. უფროს დას, კი პროფესიულ განვითარებაშიც დაეხმარნენ, მას სალონში მუშაობის დაწყების სურვილი ჰქონდა, „შილაქის აპარატიც“ შეუძინეს და პროფესიული კურსებისთვის თანხაც გადასცეს.

სოციალური პროექტის განხორციელებაში 40-მდე თანამშრომელი ჩაერთო.

მოხუცების დახმარება

მოქმედების დღის ფარგლებში განხორციელებული კიდევ ერთი პროექტი პროექტი 4 მოხუცის დახმარებას ითვალისწინებდა.

ჯიპიაის თანამშრომლებმა ერთი სრული დღე გაატარეს მოხუცებთან. დაულაგეს სახლი, გაუკეთეს საჭმელი. მიუტანეს რამდენიმე თვის სამყოფი საკვები, წამლები და სახლისთვის საჭირო ნივთები.

ერთ-ერთ მოხუცს დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებაც მოუწყვეს და მოხუცები სასურველი საჩუქრებითაც დააჯილდოვეს. ამ პროექტში როგორც ფინანსურად, ისე ფიზიკურად ჯიპიაის 50 თანამშრომელი იყო ჩართული.

ახმეტის სკოლა

განსაკუთრებით საინტერესო გამოვიდა მოქმედების დღე ახმეტაში, აწყურის საჯარო სკოლაში.

სოციალური პროექტის მიზანი იყო ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით აემაღლებინათ მოსწავლეების ცნობიერება და დახმარებოდნენ ახმეტის სკოლის დამამთავრებელი კლასების მატერიალურად გაჭირვებულ მოსწავლეებს. მათ, ვინც სკოლაში მაღალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან და არ ჰქონდათ წვდომა ტექნოლოგიებზე, ჯიპიაიმ პერსონალური პლანშეტები შეუძინა.

მოქმედების დღის ფარგლებში ჯიპიაის 15 თანამშრომელი ეწვია აწყურის საჯარო სკოლას. მოსწავლეებისთვის ჩაატარეს საინტერესო ლექციები, თანამედროვე ციფრულ პროფესიებზე და მათ უპირატესობებზე: პროგრამირება, კიბერ უსაფრთხოება, ქსელები, ვებ დიზაინი და ა.შ.

ამავე დღეს სკოლას საჩუქრად გადავეცით 10 პერსონალური კომპიუტერი, 10 გამორჩეული მოსწავლე კი პლანშეტებით დავასაჩუქრეთ.

მირაბალდები -
ძალადობაგამოვლილი ქალების დახმარება

ძალადობაგამოვლილი ქალების დახმარების პროექტი საქართველოს პრო ბონო ქსელთან თანამშრომლობით განვახორციელეთ. მირაბალდები არის სოციალური საწარმო, რომელიც ქალებს ეხმარება. საწარმოში მომუშავე ადამიანები ამზადებენ სხვადასხვა ნივთებს გამორჩეული ქართველი ქალების გამოსახულებით და ყიდიან, რათა შეძლონ ძალადობა გამოვლილი ქალებისთვის საგანმანათლებლო სივრცეების შექმნა. მათთვის განათლების მიცემა და ფინანსური დამოუკიდებლობის მიღწევაში დახმარება.

საქმიანობის უფრო აქტიურად გასაგრძელებლად კი უფრო მეტი გაყიდვები და აქტივობების დაგეგმვა სურდათ.

საქართველოს პრო ბონო ქსელი დაგვიკავშირდა და გვთხოვა გამოგვეყო გაყიდვების თანამშრომელი, რომელიც მირაბალდებს პრეზენტაციის მომზადებაში და B2B ფორუმზე ინვესტორებთან მოლაპარაკებებში დაეხმარებოდა. პროექტში ჩართვის სურვილი გამოთქვა კორპორაციული გაყიდვების მენეჯერმა, ნათია მაისურაძემ და პირველივე დღიდან აქტიურად ეხმარებოდა მირაბალდების თანამშრომლებს.

მოუმზადა ახალი პრეზენტაცია, დაყვებოდა მსხვილ ბიზნესებთან მოლაპარაკებებზე და დაეხმარა B2B ფორუმზე სოლიდური თანხის მოზიდვაში.

პროექტში ნათიამ ჯიპიაის სხვა თანამშრომლებიც ჩართო. მოაწყო გამოფენა-გაყიდვა და მირაბალდების დამზადებული პროდუქცია გაყიდა.

საერთო ჯამში, ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის საგანმანათლებლო სივრცის მოსაწყობად მირბალდებს ჯიპიაიმ და კომპანიის თანამშრომლებმაც ჩაურიცხეს თანხა.

თანამშრომლობა UNICEF Georgia-სთან

2022 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის UNICEF Georgia-ს მიერ დაარსებული - ბიზნესის მრჩეველთა საბჭო ბავშვებისათვის - წევრი გავხდით.

ბიზნესის მრჩეველთა საბჭო ბავშვებისათვის - ინოვაციური პლატფორმაა, რომლის მიზანია, უზრუნველყოს ბავშვის უფლებების პატივისცემა და ხელი შეუწყოს ბავშვის უფლებების განხორციელებას სამუშაო სივრცის, შრომის ბაზრის და საზოგადოების კონტექსტში. მხარი დაუჭიროს და წაახალისოს ბიზნეს სექტორი, რომ თავიანთი საქმიანობით ხელი შეუწყონ ბავშვთა უფლებების გაზრდას.

მონაწილეობა მივიღეთ საბჭოს ორგანიზებულ ღონისძიებებში, სადაც გაეროს ბავშვთა ფონდისა და საქართველოს ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას. დისკუსიის საგანი იყო - რა ფორმით შეიძლება გამოიყენოს ბიზნესმა საკუთარი პლატფორმები რათა ბავშვთა უფლებები იყოს მეტად დაცული, მოახდინონ ადვოკატირება და აამაღლონ საზოგადოების ცნობიერება ბავშვებთან დაკავშირებული საკითხებზე.

2023 წლისთვის დაიგეგმა აქტივობები და სემინარები ჯიპიაის თანამშრომლებისთვის, პოზიტიური მშობლობის თემაზე.

9 INDUSTRY, INNOVATION AND INFRASTRUCTURE

სატვირთო, საზღვაო და სატრანსპორტო დაზღვევა

Mycontainers.ge - კონტეინერების დაზღვევის პლატფორმა

2022 წელი, მნიშვნელოვანი იყო სატვირთო, საზღვაო და სატრანსპორტო დაზღვევის განვითარების მიმართულებით. 2021 წლის ბოლოს კომპანიამ ამ პროდუქტის განვითარება სტრატეგიულად მნიშვნელოვან მიმართულებად გამოაცხადა და აქტიური სამუშაოები, ახალი კლიენტებისა და პარტნიორების მოძიება და პროდუქტების დახვეწის პროცესი სწორედ 2022 წელს განხორციელდა.

სატვირთო, საზღვაო სატრანსპორტო დაზღვევის ყველა პროდუქტი განვაახლეთ და გავაუმჯობესეთ. მნიშვნელოვნად გამარტივდა სადაზღვევო პოლისების შეძენის პროცედურა. პირობები კი სრულად და ყველაზე კარგად პასუხობს გადამზიდავი კომპანიების მოთხოვნებს.

ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქტი ამ მიმართულებით კონტეინერების დაზღვევის პლატფორმის შექმნა იყო.

Mycontainers.ge ახალი ციფრული პლატფორმაა, რომელიც ფორვარდერებს კონტეინერის დაზღვევის პროცესს უმარტივებს. პლატფორმაზე კონტეინერის დაზღვევის შეძენა რამდენიმე წამშია შესაძლებელი. მისი დახმარებით სწრაფად და მარტივად, ონლაინ სივრცეში, სადაზღვევო მენეჯერის ჩართულობის გარეშეა შესაძლებელი წარმართოს საზღვაო ხაზებთან დაკავშირებული პროცესები.

Mycontainers.ge -ს გამოყენებით შესაძლებელია :

- ახალი სადაზღვევო პოლისის შექმნა
- საკონტეინერო ხაზებთან ავტომატური გაგზავნა
- პრემიის ონლაინ გადაიხადო
- ინვოისების დაგენერირება
- რეპორტი პოლისების შესახებ
- პოლისების ფილტრაცია სხვადასხვა პარამეტრით

პლატფორმა გავაცანით ჩვენს უშუალო პარტნიორებს და უკვე აქტიურად იყენებენ. თუმცა 2023 წლისთვის საქართველოს ბიზნეს ასოციაციასთან პარტნიორობით გადამზიდავებისთვის კონფერენციის ჩატარება იგეგმება, სადაც ამ პლატფორმის პრეზენტაციას საქართველოსი მოქმედი ყველა მსხვილი გადამზიდი კომპანია დაესწრება.



ყველაფერი წესრიგშია - ავტოდაზღვევის ახალი სერვისები

2022 წელი გამორჩეული იყო ავტოდაზღვევის მიმართულებითაც, რადგან მომხმარებელს ავტოდაზღვევის განახლებული და უნიკალური სერვისი შევთავაზეთ . გარანტიების სისტემა ჯიპიაისგან - რომელიც, დაზღვეულების სრულ სიმშვიდეს და კომფორტს უზრუნველყოფს. მომსახურების ახალი სქემის მიხედვით, თუ მანქანა ჯიპიაიში გყავს დაზღვეული, ეს ნიშნავს რომ ავტოსაგზაო შემთხვევიდან მანქანის შეკეთებამდე პროცესს ჯიპიაის ასისტენტები აკვირდებიან, უწყვეტ რეჟიმში გაწვდიან ინფორმაციას და გარანტიას გაძლევენ, რომ მანქანა შენთვის მისაღებ ფასად, ხარისხიანად შეგიკეთებენ.

რას გულისხმობს გარანტიების სისტემა:
პირველ რიგში, დაზღვეულს პირადი ასისტენტი ემსახურება, რომელიც შემთხვევიდან შეკეთებამდე პროცესს მეთვალყურეობს. ასისტენტები მუშაობენ ჯიპიაის ავტორიზებულ ავტო ცენტრებში, რაც ნიშნავს იმას, რომ დეტალურად აკვირდებიან და ამოწმებენ მანქანის შეკეთების ხარისხს. ამასთანავე ანაზღაურების პროცესი არის გამჭვირვალე, კლიენტი შემთხვევის დადგომისთანავე იღებს გარანტიის წერილს, ზუსტად იცის რომელ ცენტრში და როგორ შეაკეთებენ მის მანქანას და ასევე ზუსტად იცის, რომ ანაზღაურებული თანხა, ჯიპიაის ავტორიზებულ სერვის ცენტრში მანქანის შესაკეთებლად, აუცილებლად ეყოფა.

კონსტანტინე მანჯგალაძე

„ჯიპიაი ჰოლდინგის“ ბაზარზე განვითარების დირექტორის მოადგილე

გარანტიების სისტემა, არის სრულიად ახალი და გამორჩეული სერვისი ავტოდაზღვევის ბაზარზე. ამ სერვისის შექმნამდე სიღრმისეული კვლევები ჩავატარეთ და გავიგეთ რა სურდათ მომხმარებლებს. რა სერვისი შეუქმნიდათ დაცულობის განცდას და კომფორტს. თამამად ვიტყვი, ამ სერვისს და შესაბამისად კომფორტს დაზღვეული მხოლოდ ჩვენთან დაზღვევის დროს იღებს. კლიენტმა გარანტირებულად იცის, რომ ანაზღაურებას ფიქსირებულ ვადაში მიიღებს, ანაზღაურებული თანხა კი ჩვენს ავტორიზებულ სერვის ცენტრებში მანქანის შესაკეთებლად აუცილებლად ეყოფა. არ მოუწევს იღელვოს შეკეთების ხარისხზე, რადგან ამ სერვის ცენტრებში ჯიპიაის ავტო ასისტენტები მუშაობენ, რომლებიც მანქანის შეკეთების პროცესს აკვირდებიან და იმის გარანტიას აძლევენ კლიენტს, რომ მანქანა ხარისხიანად შეკეთდება. ავტო ასისტენტები მუდმივად არიან კავშირზე დაზღვეულთან და აწვდიან ინფორმაციას შეკეთების პროცესსა და ვადებზე. „

მომხმარებლების ინფორმირებისათვის და გაუმჯობესებული სერვისის გასაცნობად საინფორმაციო კამპანია _ ყველაფერი წესრიგშია_ ჩავატარეთ. სხვადასხვა მედიასაშუალების გამოყენებით და ციფრული არხების დახმარებით კამპანიის ხუთი ძირითადი მესიჯი - „თანხა ყოველთვის საკმარისია“, „გარანტია შეკეთებაზე“, „ფიქსირებული ვადა შემთხვევიდან ანაზღაურებამდე“, შეკეთება მეთვალყურეობით“ და „ავტორიზებული სერვის ცენტრები„ დაზღვეულებს ახალ სერვისებს აცნობდა და ახსენებდა, რომ როცა ჯიპიაის ავტოდაზღვევით სარგებლობ ყველაფერი წესრიგშია.

ჩვენთან უფრო მეტს შეძლებ - დასაქმების კამპანია

2022 წელს დასაქმების კამპანია ჩავატარეთ. გაყიდვების გუნდში ვეძებდით ახალ, მოტივირებულ და გაყიდვების პროფესიაში უკვე გამოცდილ კადრებს. ეს იყო პროფესიული განვითარების შანსი წარმატებაზე ორიენტირებული ადამიანებისთვის, რომლებსაც ჰქონდათ გამოცდილება გაყიდვებში, უნდოდათ რომ მეტი შესაძლებლობა ჰქონოდათ და კარიერა N1-ლ სადაზღვევო კომპანიაში გაეგრძელებინათ.

დასაქმების მსურველებს მოქნილი და მათზე მორგებულ, დისტანციურ და ნაწილობრივ დისტანციურ სამუშაო გარემო შევთავაზეთ, რომელიც სრულად არის თანამშრომლის კომფორტზე ორიენტირებული.

ჩვენს კომპანიაში გაყიდვების პროცესი გაციფრულებულია, გაყიდვების მენეჯერები სმარტ ტექნოლოგიების დახმარებით, ონლაინ ქმნიან გარიგებებს და აფორმებენ ხელშეკრულებებს. - ინდივიდუალური დაზღვევის მენეჯერის სამუშაო მუდმივად მოიცავს დინამიურ, საინტერესო და სიახლეებით სავსე გარემოს, ნაცნობობას ახალ ადამიანებთან და სწრაფ პროფესიულ ზრდას.

თანამედროვე ციფრული სტანდარტები ეხება როგორც უშუალოდ გაყიდვების მენეჯერების სამუშაო პროცესს ოფისში, ასევე კლიენტთან ურთიერთობის პროცესს, რომელიც სრულად გაციფრულდა და მორგებულია ჩვენი თანამშრომლებისა და მათი კლიენტების საჭიროებებზე.

გაყიდვების მენეჯერები მუშაობენ სპეციალურად მათთვის შექმნილ პროგრამაში - MYPORTFOLIO - გარიგებების ასახვა, კლიენტთა ბაზების მოძიება, ხელშეკრულებების გაფორმება და საკუთარი შედეგების ნახვა ამ პროგრამაში შეუძლიათ.

ჯიპიაის საქართველოში ყველაზე დიდი საცალო გაყიდვების ქსელი აქვს. 16 წელია ამ მიმართულების განვითარებაზე ინტენსიურად ვმუშაობთ და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დანარჩენ კომპანიებთან შედარებით, ჯიპიაის გაყიდვების დეპარტამენტი სხვა სიმაღლეზეა. ბოლო ორ წელში გაყიდვების პროცესი კიდევ უფრო დავხვეწეთ და მუშაობის ე.წ. ჰიბრიდული მოდელი შევიმუშავეთ. გამართული ციფრული და მენეჯმენტ სისტემების საშუალებით ადამიანებს საშუალებას ვაძლევთ ნებისმიერი ადგილიდან იმუშაონ. ჩვენი გაყიდვების მენეჯერები ყველასგან განსხვავებული მიდგომებით მუშაობენ და იზრდებიან პროფესიულად.

ამიტომ, 2022 წელს ვეძებდით ადამიანებს, ვისაც უკვე ჰქონდა გაყიდვებში მუშაობის გამოცდილება არა მხოლოდ სადაზღვევო, არამედ სხვა სფეროებშიც და უნდოდათ პროფესიული ზრდა და დამატებითი შესაძლებლობები.

ჯიპიაიში არსებული კარიერული განვითარების სქემა, გაყიდვების მხარდამჭერი თუ სამოტივაციო სისტემები და სხვა პროგრამები სრულად უწყობს ხელს პროფესიონალებს, რომ კიდევ უფრო განვითარდნენ და სტაბილური და მაღალშემოსავლიანი სამსახური ჰქონდეთ.

კანდიდატების შერჩევის პროცესი ორ ეტაპად ჩატარდა და ჯამში 30-მდე ადამიანი დავასაქმეთ .

ჯიპიაი

ვენის საფაზოვევო ჯგუფი